უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის

აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

დანართი №3

# I. ზოგადი ინფორმაცია

## 1. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

დაწესებულების სახე:

■ უნივერსიტეტი;

სასწავლო უნივერსიტეტი;

კოლეჯი.

საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი: 231187168

## 2. სააკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა:

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | **ჟურნალისტიკა (Jurnalism)** |
| **განათლების საფეხური** | ბაკალავრიატი |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | ჟურნალისტიკის ბაკალავრი (Bachelor in Jurnalism) |
| **კრედიტების რაოდენობა** | 240 |



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

**შენიშვნა:** მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში განათლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფის შევსება არ არის სავალდებულო.

## II. სტანდარტები

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

**აღწერა:**

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და, პირველ რიგში, გულისხმობს რეგიონის მედია ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას.
პროგრამის მიზანია თანამედროვე საინფორმაციო სივრცისა და სოციუმის სპეციფიკის მცოდნე, ლიბერალური ღირებულებების შესაბამისი პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, პრაქტიკული ჟურნალისტიკის საფუძვლების მცოდნე და საწყისი პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე ჟურნალისტური კადრის მომზადება.
პროგრამა უზრუნველყოფს მასობრივი კომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის საფუძვლების საბაზისო ცოდნას, ბაკალავრების მომზადებას მედიაორგანიზაციებსა და მომიჯნავე სფეროებში (სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების პრესსამსახურები; საჯარო სამსახურის სტრუქტურებში; კონსალტინგური და სარეკლამო კომპანიები...) საქმიანობისათვის.
საქართველოს შრომის ბაზარზე ჟურნალისტური კადრების სიჭარბის მიუხედავად, კახეთის რეგიონის მედია და მისი განვითარების პერსპექტივა (განსაკუთრებით, ციფრული ტელევიზიისა და ონლაინ მედიის მიმართულებით) საჭიროებს პროფესიონალ ჟურნალისტებს. საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს, სასწავლო კურსების ათვისებასა და სასწავლო პრაქტიკასთან ერთად, სტუდენტებს შეუქმნას რეგიონული მედიასაშუალებების მუშაობაში აქტიური და პერმანენტული ჩართულობის მოტივაცია.
პროგრამის სასწავლო კურსები, პრაქტიკა, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმები მიმართულია თანამედროვე ჟურნალისტისთვის აუცილებელი ძირითადი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებში აღწერილი კომპეტენციების გამომუშავებას.
პროგრამის კურიკულუმი ძირითადად ეყრდნობა თელავის უნივერსიტეტის პროფესურის ინტელექტუალურ და პროფესიულ რესურსებს, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ

ბაზას, რეგიონის მედიასაშუალებებში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას.
პროგრამა განხორციელების პროცესში, ყოველ კონკრეტულ ეტაპზე, საბაზრო მოთხოვნისა და პროფესიული სტანდარტის შესაბამის ცვლილებას ექვემდებარება არა მხოლოდ სასწავლო კურსების ცვლილების თვალსაზრისით, არამედ, არსებული კურსების სრულყოფისა და მოდიფიცირების მეშვეობითაც (ახალი ლიტერატურით გამდიდრება, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.)

**დასტურდება:**

უნივერსიტეტის მისია, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანი და შედეგები

**1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას**

**აღწერა:**

კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული ჟურნალისტური განათლების ტრადიცია და გამოცდილება; იუნესკოს „ჟურნალისტიკის სასწავლო პროგრამის მოდელი" (2009); ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში მედიისა და, შესაბამისად, ჟურნალისტის ფუნქციების სპეციფიკა და ა.შ.
კურიკულუმში გათვალისწინებულია ჟურნალისტური განათლების თანმიმდევრობა _ ზოგადი საბაზისო ცოდნიდან პრაქტიკულამდე; ამასთან, თეორიისა და პრაქტიკის შეხამება ხდება სწავლების მე-2 სემესტრიდანვე „პრაქტიკული ჟურნალისტიკის" კურსის მეშვეობით.
სწავლების ძირითადი მეთოდებია: საინფორმაციო სივრცისა და კონკრეტული მედიასაშუალებების პერმანენტული გაცნობა, მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მთელ ეტაპზე; პერსონალური საინფორმაციო ბანკის შექმნისა და მართვის, ინფორმაციის სორტირტების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ინსტიტუციების გაცნობა პრაქტიკისა და ინდივიდუალური სტაჟირების მეშვეობით; სტუდენტთა მაქსიმალური ინტერაქტიური ჩართულობა სწავლების პროცესში.
სპეციალობის სასწავლო კურსების უკეთ ათვისებისა და ონლაინ შესაძლებლობების ეფექტური გამოყენებისთვის იქმნება საერთო ელექტრონული მისამართი (e-mail), რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ სასწავლო მასალები; ამასთან, ისინი თავადაც აგზავნიან ამ მისამართზე თავიანთ მოპოვებულ საინტერესო მასალებს; თანდათანობით საერთო ელექტრონული ფოსტა იქცევა ერთგვარ საინფორმაციო ბანკად, რომელიც სტუდენტებს შეიძლება გამოადგეთ შემდგომ პროფესიულ საქმიანობაშიც.
სავალდებულო და არჩევითი საგნების მოდულები ჩამოყალიბებულია ზოგადად

პროფესიის სპეციფიკისა და, კონკრეტულად, ქართული მედიასივრცის ,,სუსტი წერტილების'' გათვალისწინებით (სოციალური და პოლიტიკური დისციპლინები; სამართლის მოდული; მარკეტინგის, მედია და PR ტექნოლოგიების, საბაზრო ეკონომიკის, მედიამენეჯმენტის სასწავლო კურსები და ა.შ.)
ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტში გათვალისწინებულია ოთხი სავალდებულო-არჩევითი ბლოკი (20 კრედიტი); ამასთან, 20 კრედიტს ემატება საფაკულტეტო სავალდებულო-არჩევითი კურსების 25 კრედიტი. გარდა ამისა, 240 კრედიტი ითვალისწინებს თავისუფალი არჩევითი საგნების 10 კრედიტს და დამატებითი სპეციალობის საგნების 60 კრედიტს.

**დასტურდება:**

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა, სილაბუსები.

### 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

**აღწერა:**

პროგრამის კომპეტენციები ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით. რამდენადაც ***მასკომუნიკაცია/ჟურნალისტიკის*** მიმართულებას ჯერჯერობით არა აქვს განსაზღვრული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დარგობრივი მახასიათებლები, პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია: თანამედროვე საინფორმაციო სივრცის სპეციფიკა; ჟურნალისტის პროფესიისადმი წაყენებული საბაზრო მოთხოვნები; იუნესკოს ,,ჟურნალისტიკის სასწავლო პროგრამის მოდელით'' (2009) განსაზღვრული კომპეტენციები; საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ძირითადი ასპექტები, რამდენადაც ეს სპეციალობა ***მასკომუნიკაცია/ჟურნალისტიკის*** მიმართულებაში შემოდის.
ჟურნალისტიკის პროგრამის კურიკულუმის კომპონენტთა ერთობლიობა ქმნის იმის საფუძველს, რომ სტუდენტის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული საბაკალავრო განათლება შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კომპეტენციებს.
პროგრამის შესავალი კურსების ფართო სპექტრი და საუნივერსტეტო სავალდებულო საგნები საშუალებას იძლევა სტუდენტმა შეიძინოს კომპეტენციათა უმრავლესობა. ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტში წარმოდგენილი პროფესიული სასწავლო კურსები ***(მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლები, მედია და PR (საზოგადოებასთან ურთიერთობა), პრაქტიკული ჟურნალისტიკა, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, ანალიტიკური ჟურნალისტიკა, ქართული პუბლიცისტიკა, უახლესი (პოსტსაბჭოთა) ქართული მედია, მედია ეთიკა და თვითრეგულირება);*** პრაქტიკული კურსები ***(საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ბეჭდური მედია,***

***ინტერნეტ მედია, სამაუწყებლო მედია(ტელე-რადიო);*** სამართლის (***მედია სამართალი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, კონსტიტუციური სამართალი, საარჩევნო სამართალი),*** სოციალური მეცნიერებებისა ***(სოციალური ფსიქოლოგია, სოციალური ფილოსოფია)*** და პოლიტიკური მეცნიერებების ***(პოლიტიკური კონფლიქტის მართვა, ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში)*** მოდულები; აგრეთვე, სასწავლო კურსები: ***მარკეტინგის საფუძვლები, მედია მენეჯმენტი, საბაზრო ეკონომიკა, გლობალური ეკოლოგია*** ერთობლიობაში ქმნიან ფუნდამენტს ზოგად და პროფესიულ კომპეტენციათა განვითარებისთვის.

აღნიშნული სასწავლო კურსების გავლის შემდეგ სტუდენტს ექნება შემდეგი ***ზოგადი კომპეტენციები:***

- ✓ *გაცნობიერებული აქვს: სოციალური, პოლიტიკური სფეროს ძირითადი პარადიგმები; მედიის არსი, როგორც ბიზნესისა და სოციალური ინსტიტუტის; ინფორმაციის გავლენა აუდიტორიაზე; მედიის ზემოქმედების არსი;*
- ✓ *წარმოდგენა აქვს საბაზრო სიტუაციაში მედიის ფუნქციონირებაზე;*
- ✓ *აქვს თანამედროვე მედიასივრცეში ადაპტირების უნარი;*
- ✓ *შეუძლია ინტერნეტ-მედიის სივრცეში ორიენტირება, მასალის მოპოვება, დამუშავება და ''სასაქონლო პროდუქციად'' ქცევა;*
- ✓ *აქვს საკუთარი სამუშაოს ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი;*
- ✓ *შეუძლია ინფორმაციის შემოწმება-გადამოწმება და ინფორმაციის დაბალანსება;*
- ✓ *შემზადებულია დროის დეფიციტისა და ექსტრემალური პირობების ვითარებაში მუშაობისთვის.*
- ✓ *შეუძლია: საზოგადოებაში მიმდინარე ტენდენციების საქმის კურსში ყოფნა და თვალთახედვის შემუშავება ძირითადი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ტენდენციების შესაბამისად; საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების გარკვევა; პიროვნული და პროფესიული შეცდომების დანახვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება.*
- ✓ *გააზრებული აქვს ზოგადად მედიაგარემოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს პროფესიული და ეთიკური ღირებულებების არსი; ესმის საზოგადოებისა და თავისი აუდიტორიის ერთგულების აუცილებლობა.*

***დარგობრივი კომპეტენციები:***

- ✓ *გაცნობიერებული აქვს მედიისა და ჟურნალისტიკის ფუნქციები, მთავარი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები;*
- ✓ *აქვს მედიისა და ჟურნალისტიკის ძირითადი მიმართულებების საფუძვლების ცოდნა;*
- ✓ *იცნობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს;*
- ✓ *გაცნობიერებული აქვს ჟურნალისტური თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შეხამების, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის დაცვის პრინციპები, პროფესიის ფსიქოლოგიური ნიუანსები;*

- ✓ *გააზრებული აქვს: საინფორმაციო საზოგადოების სპეციფიკა და ინფორმაციული გამოწვევები, მასმედიის როლი და დანიშნულება თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირებაში, ახალი მედიის შესაძლებლობები;*
- ✓ *იცნობს როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნების პროფესიული ქარტიების ძირითად პრინციპებს და რეალობაში მათი დაცვის პრაქტიკას;*
- ✓ *იცის როგორ იხელმძღვანელოს მედიის სამართლებრივი და ეთიკური კრიტერიუმებით; როგორ გამოიყენოს მედიის სამართლებრივი და ეთიკური ნორმები ჟურნალისტის სოციალური ფუნქციის ადეკვატური შესრულებისთვის;*
- ✓ *აქვს ჟურნალისტური მეთოდებისა და შემოქმედებითი ხერხების საბაზისო ცოდნა;*
- ✓ *წარმოდგენა აქვს საქართველოს მედიასივრცეში სამართლებრივი და ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვის რეალურ მდგომარეობაზე;*
- ✓ *შეუძლია ჟურნალისტური მეთოდების გამოყენებით ინფორმაციისა და ახალი ამბების მოძიება-დახარისხება და მომზადება;*
- ✓ *შეუძლია წყაროების, საცნობარო გამოცემების, მონაცემთა ბაზების, ინტერნეტისა და ახალი ამბების სააგენტოების გამოყენება ინფორმაციის მოძიებისათვის;*
- ✓ *ათვისებული აქვს წერის საწყისი ტექნიკა;*
- ✓ *აქვს მასალის სტრუქტურული/დრამატურგიული აგებისა და ჟანრული გადაწყვეტის უნარი;*
- ✓ *წარმოდგენა აქვს ჰიპერტექსტის აგებაზე მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით;*
- ✓ *აქვს ინფორმაციის შერჩევის, დახარისხებისა და სისტემატიზების, პერსონალური საინფორმაციო ბანკის შექმნის უნარ-ჩვევა;*
- ✓ *გააზრებული აქვს ინფორმაციის გადამოწმება/ვერიფიცირების, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნის მნიშვნელობა და აუცილებლობა;*
- ✓ *შეუძლია მრავალფეროვნების გაშუქების პრინციპების გათვალისწინება ჟურნალისტურ პრაქტიკაში;*
- ✓ *აქვს საწყისი ცოდნა ექსტრემალურ და კრიზისულ სიტუაციებში ადეკვატური მოქმედებისათვის;*
- ✓ *შეუძლია ინფორმაციის დიდი ნაკადიდან აქტუალური და საჭირო ინფორმაციის ''ამოფილტვრა'', სისტემაში მოყვანა, გაანალიზება და გამოყენება საჭირო მიმართულებით;*
- ✓ *შეუძლია მომგებიანად გამოიყენოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების ცოდნა სამსახურეობრივ, პერსონალურ თუ საჯარო ურთიერთობებში;*
- ✓ *შეუძლია სათანადო კომუნიკაციის დამყარება რესპონდენტებთან;*
- ✓ *შეუძლია პროფესიული კომუნიკაცია გუნდში კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციების პირობებში;*
- ✓ *გამომუშავებული აქვს პრეზენტაციისა და თვითპრეზენტაციის უნარი;*
- ✓ *აქვს სათანადო უნარ–ჩვევები ჟურნალისტის პროფესიისთვის აუცილებელი კრეატიული აზროვნების განვითარებისთვის;*
- ✓ *აცნობიერებს ზოგადად მედიისა და ჟურნალისტიკის როლს და მნიშვნელობას და, კონკრეტულად, საკუთარ პასუხისმგებლობას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრების პროცესში;*
- ✓ *აცნობიერებს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე;*



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_________________

ბ.ა.

- ✓ *აცნობიერებს ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტის როლს საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური წარმართვისთვის;*
- ✓ *შეუძლია მუშაობა სამაუწყებლო (რადიო-ტელეკომპანიები), ბეჭდურ და ონლაინ მედიასაშუალებებში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების პრესსამსახურებში; საჯარო სამსახურის სტრუქტურებში;*
- ✓ *სათანადო სტაჟირების გავლის საფუძველზე შეუძლია თანამშრომლობა კონსალტინგურ და სარეკლამო კომპანიებში;*
- ✓ *პროგრამის სათანადოდ ათვისება სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებისა და სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის, შესაბამისი არჩევანის მიხედვით.*

დასტურდება:

ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო, ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა

**1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე**

აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს გაცნობით პრაქტიკას და სტაჟირებას ადგილობრივ/რეგიონულ მედიასაშუალებებში, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მუნიციპალურ სამსახურებში.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები აითვისებენ პროფესიული ტექნიკური საშუალებების გამოყენების საწყის უნარ–ჩვევებს; განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ინტერნეტ–მედიის მიმართულებით დაოსტატებაზე, რამდენადაც ონლაინ–მედია არა მხოლოდ ყველაზე პერსპექტიული მედიააა, არამედ, იგი უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს; ამასთან, ონლაინ სივრცე ყველაზე ხელმისაწვდომია მედიაპროექტების რეალიზებისთვის.

პროგრამის წარმატებით ათვისება სტუდენტებს უქმნის მოტივაციას და რეალურ საშუალებას დარგის შესაბამისი და მომიჯნავე პროფილის მაგისტრატურებში სწავლის გაგრძელებისათვის. მაგალითად, პროგრამით გათვალისწინებული პოლიტიკური მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, სამართლის მოდულები სტუდენტს აძლევს ორიენტირს პოლიტიკური მეცნიერებების, საჯარო სამსახურის და სხვ. სპეციალობის მაგისტრატურისკენ; მარკეტინგის საფუძვლების, მედია და PR–ის, მედია მენეჯმენტის, საბაზრო ეკონომიკის სასწავლო კურსები _ სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალობისკენ.

**დასტურდება:**

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის შედეგები, სილაბუსები.

**1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება**

**აღწერა:**

პროგრამის განხორციელებისას, პირველ რიგში, გათვალისწინებულია ადგილობრივი მედიასაშუალებების საჭიროებები და მოთხოვნები; მაგალითად, ტელეკომპანიების – ,,თანამგზავრის'', ,,გორდას'', ,,გურჯაანის'', ინტერნეტგამოცემა ,,კახეთის საინფორმაციო ცენტრის'', რადიო ,,ჰერეთის'', გაზეთების – ,,სპექტრისა'' და ,,კახეთის ხმის'', ადმინისტრაციულ ცენტრებთან არსებული პრესსამსახურების.

პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნებთან ჟურნალისტიკის პროგრამის შესაბამისობისთვის ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა (რომელიც, ამასთან, მუშაობს ჟურნალისტური განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილ სადისერტაციო ნაშრომზე) ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმით გამოკითხა ყველა ზემოაღნიშნული მედიასაშუალების ხელმძღვანელი, იქ დასაქმებული ჩვენი მიმართულების კურსდამთავრებულები, პრაქტიკაგავლილი სტუდენტები; გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და მაქსიმალურად იქნა გამოყენებული პროგრამის განახლებისას.

მაგალითად, ,,კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის'' პრიორიტეტულია ჟურნალისტური გამოძიება. შესაბამისად, გარდა იმისა რომ პროგრამის სასწავლო კურსის – ,,ანალიტიკური ჟურნალისტიკის'' ფარგლებში ისწავლებოდა ჟურნალისტური გამოძიება, ახალი პროგრამისთვის შემუშავდა ,,ჟურნალისტური გამოძიების'' 5 კრედიტიანი პრაქტიკული კურსი. მიმდინარე წლის აგვისტოში ამ საგნის პედაგოგმა და ჟურნალისტიკის მიმართულების ლიდერმა გაიარეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და ჟურნალისტ-გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაციის (IRE) მიერ ორგანიზებული ტრეინინგი უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთათვის – ,,როგორ ვასწავლოთ საგამოძიებო ჟურნალისტიკა'' (ტრენერებად აშშ-იდან მოწვეულები იყვნენ ,,ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელოს'' ავტორი, პროფესორი ბრენტ ჰიუსტონი და ჟურნალისტ-გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაციის (IRE) ხელმძღვანელი მარკ ჰორვიტი). ამასთან, ,,ჟურნალისტური გამოძიების'' სწავლებისთვის კარგ ფუნდამენტს ქმნის ,,ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელოს'' მეხუთე გამოცემის ქართული თარგმანი, რომელიც დაურიგდათ ტრეინინგის მონაწილეებს და რომლის რამდენიმე ეგზემპლარი ევრაზიის ფონდმა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც გადმოსცა.

ჟურნალისტთა კომპეტენციებისადმი პოტენციურ დამსაქმებელთა მიერ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებულია საბაზრო ეკონომიკის

პრინციპების, ზოგადი ადმინისტრაციული და კონსტიტუციური სამართლის საფუძვლების სწავლება; ასევე, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და პოლიტიკური კონფლიქტის არსის შესწავლა.
ტელეკომპანიებს სერიოზული პრეტენზია აქვთ მეტყველების კულტურასთან დაკავშირებით; ამჟამად მიმდინარეობს „მეტყველების კულტურის" პრაქტიკული კურსის შემუშავება, რომელიც მომავალი წლიდან ჩაირთვება ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაში. იხვეწება „ახალი ამბების ჟურნალისტიკის" პრაქტიკული კურსის სწავლების მეთოდებიც, რადგან ადგილობრივი ტელეკომპანიებისთვის ამ კურსით გამომუშავებული უნარ-ჩვევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; ტელეკომპანიები კი, უახლოეს მომავალში მათი დიგიტალიზაციის პერსპექტივის გათვალისწინებით, ჩვენი პროგრამის კურსდამთვარებულთა ერთ-ერთი ძირითადი პოტენციური დამსაქმებელია.

**დასტურდება:**
პოტენციური დამსაქმებლების: ტელეკომპანიების –„თანამგზავრის", „გორდას", „გურჯაანის", ინტერნეტგამოცემა „კახეთის საინფორმაციო ცენტრის", რადიო „ჰერეთის", გაზეთების – „სპექტრისა" და „კახეთის ხმის", ადმინისტრაციულ ცენტრებთან არსებული პრესსამსახურების ხელმძღვანელთა გამოკითხვა ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდით.
ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა.

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

**აღწერა:**

პროგრამაზე დაშვებისთვის სტუდენტს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და უნდა სწავლობდეს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე. პირველი სემესტრის ბოლოს სტუდენტი თავად ირჩევს ძირითად სპეციალობას. არჩევის წესი არის გამჭვირვალე და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტები აფიქსირებენ არჩევანს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ფორმებში, რომლებიც ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

პროგრამაზე სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 8 სტუდენტით, მაქსიმალური – 15-ით. (თესაუ რექტორის ბრძანება №340). იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა რაოდენობამ გადააჭარბა 15-ს, ამოქმედდება კონკურსი სპეციალობაზე

მოსახვედრად. კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სტუდენტებს, ვისაც უკეთესი აკადემიური მოსწრება ექნება საგანში _ ,,შესავალი კურსი ჟურნალისტიკაში'', რომელიც შეისწავლება I კურსის პირველ სემესტრში; ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მიერ I სემესტრში ჩაბარებული ყველა საგნის აკადემიური მოსწრება.

**დასტურდება:**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ძირითადი სპეციალობის არჩევის ფორმები (განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე), თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, ძირითადი და დამატებითი სპეციალობის არჩევისა და შეცვლის შესახებ დებულება, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

## 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**აღწერა:**
უპირველეს ყოვლისა, პროგრამის მიზანია სტუდენტთა ინტერაქტიური ჩართულობა არა მხოლოდ სწავლის პროცესში, არამედ, მათი გონივრული მოსაზრებების გათვალისწინებით სილაბუსების შესაძლო კორექტირებაც.
სასწავლო კურსების უკეთ ათვისების, პედაგოგსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის ინტენსიობის, ონლაინ შესაძლებლობების უკეთ გამოყენებისა და გააზრების, სასწავლო მასალების, აქტუალური და ახალი ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით, რიგი სასწავლო კურსის ფარგლებში იქმნება საერთო ელექტრონული ფოსტა (e-mail), რომელიც სწავლის პროცესშიც და შემდგომაც ერთგვარი საინფორმაციო ბანკის როლს ასრულებს მომავალი ჟურნალისტებისათვის.
სპეციალობის საგნების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წერისა და მეტყველების კულტურის გამომუშავებას, სტუდენტთა თვითპრეზენტაციას, გუნდური მუშაობის ჩვევის გამომუშავებას; პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც მიმართულია სამუშაოს დაგეგმვისა და დროის განაწილების, საინფორმაციო თემების მოძიების, შერჩევის, სათანადო ინფორმაციისა და მასალების მობილიზებისა და ჟურნალისტისთვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარებისკენ.
პრაქტიკული პროფესიული კურსების ფარგლებში, აუდიტორიის გარეთ მუშაობის ეფექტური ფორმაა პედაგოგისა და სტუდენტების ერთობლივი დასწრება სხვადასხვა ღონისძიებაზე, რომელიც შესაძლოა იქცეს საინფორმაციო საბაბად სასწავლო ჟურნალისტური პროდუქციისათვის. სტუდიური მუშაობის სხვადასხვა ფორმა საშუალებას იძლევა სტუდენტებმა აღიქვან ჟურნალისტის პროფესიის, როგორც ხელობისა და შემოქმედების,

ნიუანსები და სპეციფიკა.
პროგრამით განსაზღვრული მიზნების, სწავლების მეთოდებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობისა და მათი მაქსიმალური ურთიერთდაახლოებისათვის შემუშავებულია და რექტორატში განსახილველად წარდგენილია „ჟურნალისტური და სოციალური პრაქტიკის მობილური ლაბორატორიის" პროექტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მედიასივრცესა და სოციუმში სტუდენტთა პროფესიული და მოქალაქეობრივი ორიენტაცია, ჟურნალისტისთვის აუცილებელი საწყისი პრაქტიკისა და გამოცდილების მინიმუმის დაგროვება.

**დასტურდება:**
ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა; სილაბუსები; „ჟურნალისტური და სოციალური პრაქტიკის მობილური ლაბორატორიის" პროექტი.

## 2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

**აღწერა:**
პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში ოპტიმალურადაა გათვალისწინებული ლოგიკური თანმიმდევრობა; მაგალითად: ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის შესავალი კურსებიდან გადასვლა „პრაქტიკული ჟურნალისტიკისა" და, შემდგომ, „ბეჭდური მედიის", „სამაუწყებლო მედიისა" და „ინტერნეტ მედიის" პრაქტიკულ კურსებზე; „მედია და PR (საზოგადოებასთან ურთიერთობა)" შეისწავლება მას შემდგომ, რაც სტუდენტებს გავლილი აქვთ „მარკეტინგის საფუძვლები" ან „საბაზრო ეკონომიკის" კურსი; „მედია სამართლის" კურსზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მას გავლილი აქვს სამართლის მოდულის სავალდებულო არჩევითი საგნებიდან ერთ-ერთი.
მესამე სემესტრიდან სტუდენტი ირჩევს დამატებით სპეციალობას (60 კრედიტის ფარგლებში), გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალი არჩევითი კურსების 10 კრედიტსაც. ამგვარი არჩევანი მომავალ ჟურნალისტს კარგ ფუნდამენტს უქმნის პრაქტიკულ საქმიანობაში რომელიმე კონკრეტული მიმართულებით აქცენტირებისთვის.
ვცდილობთ, საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის არჩევა სტუდენტისთვის იყოს ორგანული პროცესი და ნაშრომისთვის მზადება – თემის შერჩევა, მასალების შეგროვება, ემპირიული მასალის მონიტორინგი (მით უფრო, თუ თემა ოპერატიულია) დაიწყოს მე-5-ე, მე-6-ე სემესტრში და არა სწავლების ბოლო წელს.

**დასტურდება:**
სასწავლო გეგმა და პრერეკვიზიტების ცხრილი

**2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით**

**აღწერა:**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტუდენტთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. გამოცდის ტიპს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ლექტორი და შესაძლებელია ჩატარდეს წერითი ან ზეპირი ფორმით, ან წერა/ზეპირი. სპეციალობის საგნებში, ჟურნალისტიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტესტირებაზე უფრო მომგებიანია ესეს ფორმის თხზულება, რომელიც ხელს უწყობს წერის კულტურის, არგუმენტირების, ანალიზის უნარის განვითარებას მომავალ ჟურნალისტებში.

შეფასების სისტემა ორი კომპონენტისგან შედგება: შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა) და დასკვნითი გამოცდა (მაქსიმუმ 40 ქულა). მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას. შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი. შუალედური შეფასება შედგება 2 შუალედური წერისაგან (მაქსიმუმ 30 ქულა), 4 წერითი ან ზეპირი გამოკითხვისაგან (მაქსიმუმ 20 ქულა) და პრეზენტაციისაგან (მაქსიმუმ 10 ქულა). პრეზენტაციისას მთავარი აქცენტი კეთდება სტუდენტების მიერ მულტიმედიური შესაძლებლობების გამოყენებაზე (თუნდაც, მობილური ტელეფონის მოშველიებით). 4 წერითი ან ზეპირი გამოკითხვა (მაქსიმუმ 20 ქულა) სპეციალობის საგნებში შესაძლოა შეიცვალოს ჟურნალისტური დავალების შესრულებით (კურსის სპეციფიკის შესაბამისად).

სტუდენტი ინფორმირებულია შუალედური გამოცდის ვადებისა და ფორმატის თაობაზე.

**დასტურდება:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე. სილაბუსები. სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ანალიზის ამსახველი დოკუმენტები.

**2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ**

**აღწერა:**

სტუდენტს უფლება აქვს დარწმუნდეს შეფასების ობიექტურობაში; შეფასების სისტემა მაქსიმალურად ითვალისწინებს შედეგების საჯაროობას. სპეციალობის საგნებში ნამუშევრების განხილვა ხდება სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით (თვითშეფასების, ურთიერთშეფასების ჩართვით), კონკრეტულად განიხილება შეფასების განმაპირობებელი ყველა ფაქტორი; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ,,შეცდომებზე სწავლის'' მეთოდს,

ისევე როგორც წარმატებული შედეგის გაზიარებას, როგორც აუცილებელ სასწავლო კომპონენტს. ამგვარად, „შეფასების პრეზენტაცია“ ერთგვარი სტუდიური მუშაობის ხასიათს იღებს, რაც სტუდენტებს ეხმარება პოზიტიური/ნეგატიური ასპექტების გააზრებასა და პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში. ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია არა ნაკლებ 10 დღისა.

**დასტურდება:**

დებულება სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ (განთავსებული თესაუ–ს ვებ-გვერდზე);

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

**3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას**

**აღწერა:**

თავისი პროფილის განსაზღვრისას სტუდენტი იღებს აუცილებელ ინფორმაციას და კონსულტაციებს ფაკულტეტის დეკანისა და დეკანატის თანამშრომლებისაგან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელისა და და პროგრამაში შემავალი საგნების ლექტორებისაგან.

მათთან სტუდენტების შეხვედრებს უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანატი. სწავლის დაწყების პირველივე დღიდან სტუდენტი იღებს ამომწურავ ინფორმაციას საკრედიტო სისტემის, საფაკულტეტო არჩევითი საგნების, ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული ძირითადი სპეციალობებისა და მათი არჩევის წესის შესახებ. დეკანატი გარკვეული პერიოდულობით აწყობს კონსულტაციებს სტუდენტებთან მათი სასწავლო პროცესისა და თავისუფალი დროის დაგეგმვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია და რჩევა ფაკულტეტის დეკანატიდან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან.

**დასტურდება:**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ცენტრის შესაბამისი მასალები (სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები აღნიშნული სამსახურების მუშაობის შესახებ).

**3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა**

**აღწერა:**

სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა ჟურნალისტიკის მიმართულების ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია (მით უფრო, სტუდენტთა მცირერიცხოვნების ვითარებაში) და იგი არ შემოიფარგლება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული ინდივიდუალური მუშაობის (60 სთ. წელიწადში, კვირაში ორი საათი) ფორმატით. ფაქტობრივად, სტუდენტს აქვს უფლება და საშუალება სპეციალობის პედაგოგებს მიმართოს ნებისმიერი სასწავლო პრობლემის წამოჭრისა თუ პერსონალური კონსულტაციისთვის (უშუალოდ, მობილური კავშირისა თუ ინტერნეტ სერვისების მეშვეობით). სტუდენტებთან ლექტორთა ინდივიდუალური კონსულტაციები განსაკუთრებით ინტენსიური ხდება სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში – ჟურნალისტური დავალებების შესრულების პროცესში; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების თემებზე მუშაობისა და საბაკალავრო ნაშრომების მომზადებისას.

**დასტურდება:**

სასწავლო კურსების სილაბუსები; აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა.

**3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში**

**აღწერა:**

„ჟურნალისტური და სოციალური პრაქტიკის მობილური ლაბორატორიის" პროექტით გათვალისწინებულია კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების ფართო სპექტრი, რომელთა განხორცილების შემთხვევაში მომავალი ჟურნალისტები გაივლიან არა მხოლოდ ფართოპროფილიან ჟურნალისტურ პრაქტიკას, არამედ, გაეცნობიან სახელმწიფოს ინსტიტუციონალური ფუნქციონირებისა და სამოქალაქო სექტორის არსებით პრინციპებს.

უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყვეს, რომ ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები გაცნობოდნენ საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან

ურთიერთობის განყოფილების მუშაობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურს, საინფორმაციო პორტალ presa.ge–სა და ინტერნეტ ტელევიზია iTV.ge–ს.
ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები ინტენსიურად თანამშრომლობდნენ გაზეთ „თელავის უნივერსიტეტში" და მონაწილეობდნენ ამავე სახელწოდების ჟურნალის გამოშვებაში, რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარების კარგი საშუალებაა.
უნივერსიტეტი, ასევე, სტუდენტს სრულ შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერი აქტივობა, თუ მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც თან სდევს მის მიერ ჩატარებულ სამუშაოს, შესაბამისად აისახოს ადგილობრივ და რესპუბლიკურ კონფერენციებში ან მის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.
სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტთა თვითმმართველობის ღონისძიებებსა და სხვადასხვა შემოქმედებით წრეებში.

**დასტურდება:**
„ჟურნალისტური და სოციალური პრაქტიკის მობილური ლაბორატორიის" პროექტი;
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების სამუშაო გეგმები.

### 3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

**აღწერა:**
უნივერსიტეტის სტუდენტთა კრედიტებისა და დიპლომების აღიარებამ ერთიან ევროპულ სივრცეში შესაძლებელი გახადა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სწავლა, სამეცნიერო მუშაობა და დასაქმება ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს და, შესაბამისად, ჩართულია რამდენიმე საერთაშორისო პროექტში. ეს საშუალებას აძლევს ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს და პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებს ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში. პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსია უცხო ენა (15 კრედიტი).
პროგრამა შემუშავებულია ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, იუნესკოს „ჟურნალისტიკის სასწავლო პროგრამის მოდელის" (2009) გათვალისწინებით. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პრესონალს აქვს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება. ასევე, საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

**დასტურდება:**
საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები. პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება. სტუდენტთა მონაწილეობა საერთაშორისო

გაცვლით პროგრამებში. ხელშეკრულებები უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ.

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

### 4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა:**
პროგრამის განხორციელებას, პირველ რიგში, უზრუნველყოფს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელმაც ახალგახსნილი ჟურნალისტიკის სპეციალობისთვის მაქსიმალურად შეიძინა ქართულ და უცხოურ ენაზე არსებული უახლესი ლიტერატურა; ჟურნალისტიკის მიმართულების ინტერესთა გათვალისწინებით გამოიწერა პერიოდული პრესა, ჟურნალი ,,ლიბერალი'' და ა.შ. ჟურნალისტიკის ყოველ სტუდენტს საშუალება აქვს ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული მომსახურებით და ინტერნეტით.
გარდა ამისა, პროგრამის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის უნივერსიტეტმა შეიძინა სათანადო ციფრული ტექნიკა; ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთათვის მზადდება ლაბორატორია, რომელიც სათანადო გარემოს შექმნის სტუდიური მუშაობისათვის.

**დასტურდება:**
უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

### 4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

**აღწერა:**
პროგრამის სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი ფლობს შესაბამისი შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. მათი კვალიფიკაცია წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ წარმოდგენილია

უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია. აკადემიური თანამდებობების მქონე პირებმა, ასევე, გაიარეს გასაუბრება 2009 წლის სექტემბერში აკადემიური პერსონალის შესარჩევ საკონკურსო კომისიებთან, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება დასაკავებელ თანამდებობებთან კონკურსანტების კვალიფიკაციის შესაბამისობის თაობაზე.

დასტურდება:

პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის მონაცემები; აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საკონკურსო დარგობრივი კომისიების მიერ წარმოდგენილი ,,საკონკურსო ბარათები", რომლებიც ინახება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.

**4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით**

**აღწერა:**

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დეკანი_სრული საშტატო ერთეული, დეკანის მოადგილე_ნახევარი საშტატო ერთეული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი_სრული საშტატო ერთეული, იურიდიული კლინიკის ლაბორანტი_სრული საშტატო ერთეული, იურიდიული კლინიკის კონსულტანტი_ სრული საშტატო ერთეული, დეკანატის მდივანი_სრული საშტატო ერთეული.

დასტურდება:

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაცემებით, რომელიც ინახება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.

**4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.**

**აღწერა:**

პროგრამის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები აქტუალურია

და დაფუძნებულია მასკომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის თანამედროვე მიღწევებზე, შესაბამის ქართულ და უცხოურ კვლევებზე. ქართულ ენაზე შესაბამისი სასწავლო მასალების არარსებობის შემთხვევაში სტუდენტებს მიეწოდებათ ლექტორთა მიერ მომზადებული რიდერები. ყველა სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (წიგნადი ფონდი, ელექტრონული ვერსიები), შესაბამის კათედრებზე, იურიდიულ კლინიკაში, ლექტორთა პირად ბიბლიოთეკებში.

**დასტურდება:**
სასწავლო მასალები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, კათედრაზე, ლექტორთა პირად ბიბლიოთეკებში.

## 4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

**აღწერა:**
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ფინანსური გეგმა, ამიტომ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამას საკუთარი ფინანსური უზრუნველყოფა არ გააჩნია, თუმცა, ხდება შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსირება უნივერსიტეტის დონეზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამების ფინანსურ სტაბილურობას.

**დასტურდება:**
უნივერსიტეტის ფინანსური გეგმა

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

### 5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს

**აღწერა:**
მას შემდეგ, რაც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ჩაერთო ბოლონიის პროცესში, ძირითად ამოცანად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა გახდა. სწავლების ასეთი მოდელი სწავლების ხარისხის ამაღლებასა და დასაქმების ბაზარზე სტუდენტთა კონკურენტუნარიანობას განაპირობებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლებისა და სწავლის და მეცნიერული მუშაობის მაღალი ხარისხი.



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების (სწავლის პროცესის ორგანიზება) მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრულ გარემოში.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სისტემატიზირებულია უნივერსიტეტის სპეციფიკური მიმართულებით ან მთელი რიგი მიმართულებებით მუშაობის ხარისხის, სტანდარტებისა და ეფექტურობის განხორციელების პროცედურები, რომლებიც ჩვეულებრივ, რეგულარულად ხორციელდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადი _Mშემოწმება არის მთავარი საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი აფასებს და ასახავს თავის მუშაობას, პოლიტიკას, გეგმებს და პროცესებს (ფაქტებზე დაყრდნობით), აჩვენებს ანგარიშვალდებულებას, განსაზღვრავს თავის სიძლიერეს და ნებისმიერ საჭირო ცვლილებას გაუმჯობესებისათვის. ხორციელდება ხარისხის გაუმჯობესების მონიტორინგი და იწერება ანგარიში იმისათვის, რომ შემოწმდეს, ჰქონდა, თუ არა მას წინასწარ განსაზღვრული ეფექტი.

გაუმჯობესების მუდმივი პროცესი შეიძლება იქნეს აღწერილი, როგორც მოქმედების მუდმივი ციკლი: `დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე~. Aამგვარი სისტემური მიდგომა იძლევა ხარისხის კონტროლის, უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების გარანტიას.

ყოველი პროგრამა იგეგმება ფაკულტეტის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური კონსულტაციების რეჟიმში. პროგრამის განხორციელებისთანავე ამოქმედდება კონტროლის მექანიზმები, რასაც მოჰყვება აღმოჩენილი ნაკლოვანებების გამოსწორება და პროგრამის შემდგომი განვითარება. პროგრამის შემოწმებისა და განვითარების მიზნით ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვები და სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ანალიზი.

ასეთი მიდგომებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატიური კონტროლისა რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

**დასტურდება:**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმა *(2010-2015);*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ოქმები.

## 5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

**აღწერა:**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას ემსახურება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. მისი მიზანია საუნივერსიტეტო პროგრამების ხარისხის ამაღლება და განათლების მაღალ სტანდარტებთან მიახლოვება სისტემატიური შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურების საშუალებით.

საზოგადოების მოთხოვნასთან ერთად თითოეული პროგრამა განიცდის შესაბამის ცვლილებებს. იზრდება თანამშრომლობა სხვა ეროვნულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, რაც განაპირობებს უფრო მეტ აკადემიურ აქტივობებს (კონფერენციებს, კვლევებს, ერთობლივ პროგრამებს და სხვა).

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო; მიღებული სტანდარტების საფუძველზე ხდება პროგრამების სისტემატური ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამებში სათანადო ცვლილებების შეტანა და ახალი პროგრამების შეთავაზების საკითხი განიხილება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, შემდეგ უნივესიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომლთა რეკომენდაციების შემდგომ სრულყოფილ პროგრამას იღებს ფაკულტეტის საბჭო და შემდეგ ამტკიცებს აკადემიური საბჭო. შემდეგ, პროგრამები აკრედიტაციის მიზნით იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

შიდა შეფასებით უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არკვევს ასევე როგორია სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების დონეებზე, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ, ხოლო გარე შეფასების მიზნით ყოველწლიურად წარუდგენს თვითშეფასების ანგარიშს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

შემოწმება ხორციელდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის წარდგენით. თვითშეფასების ანგარიშის შევსებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

**დასტურდება:**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმა *(2010-2015);*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ოქმები.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები.

 პროგრამის განმახორციელებელი, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია, ავსებს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს.

## III. საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი, სოფელი/დაბა/რაიონი/ქალაქი, ქვეყანა **ქართული უნივერსიტეტის ქუჩა № 1, თელავი, საქართველო.**

საფოსტო ინდექსი 2200

ტელეფონი +995 350 27 24 01 ფაქსი +995 350 27 24 01

ელ-ფოსტა info@tesau.edu.ge

ვებგვერდი www.tesau.edu.ge

**თინათინ ჯავახიშვილი**
დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი

8350 273264, 599580998 rectortesau@tesau.edu.ge
ტელეფონი ელ-ფოსტა



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის

აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

**ჰამლეტ რაზმაძე**

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი

8350 272614, 593753559 hrazmadze@hotmail.com
ტელეფონი ელ-ფოსტა

**ნინო კახაშვილი**
დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის (მოვალეობის შემსრულებელი) სახელი და გვარი

8350 275982 , 593343326 ninokakhashvili@yahoo.com
ტელეფონი ელ-ფოსტა

**მაია აზიკური**
დაწესებულების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი

8350 275982 , 599747775 maiazi@yahoo.com
ტელეფონი ელ-ფოსტა

## IV. თანდართული დოკუმენტაცია

1. თვითშეფასების კითხვარს თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამა ნაბეჭდი სახით;
2. პროგრამა და სილაბუსები ელექტრონული ფორმით.

შენიშვნა: დადასტურებებში მითითებული მასალები განთავსებულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებში.

ქ. თელავი 04. 09 2011
(შევსების ადგილი) თარიღი



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

________________

ბ.ა.